



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

11 იანვარი 2022 წელი

N 1/36

ეგზ.: N 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის კონსოლიდირებული (ნაერთი)
ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	მასშტაბის შეზღუდვა	5
	მოსაზრება	6
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	7
	2. სხვა გარემოებები	14
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	15
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	17
დანართები	კონსოლიდირებული ერთეულები	49
	საკონტაქტო ინფორმაცია	52

ტერმინები და შემოკლებები

მუნიციპალიტეტი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

მერია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ანგარიშგება – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც საქართველოს დედაქალაქის, სტატუსი გულისხმობს თბილისის განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების დასაცავად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოების მეშვეობით თბილისის მართვას.¹

თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს – თბილისის საკრებულოს და თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – თბილისის მერიის მეშვეობით.²

მუნიციპალიტეტი ასევე აერთიანებს სხვადასხვა პროფილის 6 სსიპ-სა და 71 ა(ა)იპ-ს. აღნიშნული ორგანიზაციები ბუღალტრულ ანგარიშგებებს წარუდგენენ მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს, რომელიც ამზადებს ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტებით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ბუღალტრულ ანგარიშგებას და წარადგენს დანიშნულებით.

ინფორმაცია საბალანსო ერთეულების მიხედვით, ბიუჯეტიდან მიღებული და საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი №1. ინფორმაცია 2020 წელს ბიუჯეტიდან მიღებული და საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გაწეული ხარჯის შესახებ (ლარი)³

საბალანსო ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ბიუჯეტიდან მიღებული თანხებიდან გაწეული გადასახდელები	საკუთარი შემოსავლები დან გაწეული ხარჯები	ჯამი
მერია	1	388,474,500	0	388,474,500
საკრებულო	1	12,850,300	0	12,850,300
გამგეობა	10	204,959,700	0	204,959,700
სსიპ	6	221,971,600	7,282,400	229,254,000
ა(ა)იპ	71	252,299,400	11,647,300	263,946,700
სულ:	89	1,080,555,500	18,929,700	1,099,485,200

¹ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 63, პუნქტი 2.

² „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 65.

³ მონაცემები აღებულია ხაზინის 2020 წლის მონაცემებიდან და დამოწმებულია ქ. თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის მიერ.

ინფორმაცია 2020 წელს მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების შესახებ მოცემულია ცხრილში.

ცხრილი №2. ინფორმაცია 2020 წელს მიღებული საბიუჯეტო სახსრების და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)⁴

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	1,021,400,600	901,868,100	930,239,500	103.1%
შემოსავლები	980,969,900	853,437,400	868,463,300	101.8%
არაფინანსური აქტივების კლება	40,000,000	48,000,000	61,678,400	128.5%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	430,700	430,700	94,500	21.9%
ვალდებულებების ზრდა	0	0	3,300	-
გადასახდელები	1,021,400,600	1,121,648,100	1,080,555,500	96.3%
ხარჯები	727,165,500	847,449,100	825,205,200	97.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	276,411,500	258,149,500	239,300,800	92.7%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0	0	0	-
ვალდებულებების კლება	17,823,600	16,049,500	16,049,500	100%
ნაშთის ცვლილება	0	-219,780,000	-150,316,000	-

⁴ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტისა და ხაზინის მონაცემები.

მასშტაბის შეზღუდვა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია მნიშვნელოვანი მოცულობის ქონება (შენობა-ნაგებობები, გზები, ხიდები, მიწა და სხვ.),⁵ რომლებიც არ არის გამოხატული ფულად ღირებულებაში, რის გამოც აღნიშნული ქონება არ არის აღრიცხული ბუღალტრული ანგარიშგების შესაბამის მუხლებში.⁶ აღნიშნული პრობლემა მუნიციპალიტეტს მოჰყვება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საკითხის მოგვარება დაკავშირებულია არსებით ფინანსურ დანახარჯებთან.

ამასთანავე, მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული სტრატეგია, რომლის მიხედვით ეტაპობრივად შეაფასებდა ქონებას და ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც მივიღებდით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების მუხლებში (ძირითადი აქტივები 2100) ასახული თანხის სისრულესა და სისწორეზე. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას ქონების ამ ნაწილთან მიმართებით.

⁵ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემები.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 2, „ზ“ ქვეპუნქტი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების⁷ (ერთად „ჯგუფის“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ (კონსოლიდირებულ) ანგარიშგებას (ბალანსს) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ დანართებს⁸ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – აბზაცში აღწერილი საკითხ(ებ)ის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის თანდართული (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად.⁹

⁷ იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

⁸ „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება, დანართები 1-დან 10-ის ჩათვლით.

⁹ „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 მატერიალური მარაგები

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,¹⁰ პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები შედგენილი უნდა იქნეს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის მომენტში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ მისი დამთავრებისთანავე და აღრიცხვაში ასახვის მიზნით, ბუღალტერიას უნდა გადაეცეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც მას ჰქონდა ადგილი.¹¹

მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მარაგების ჯამური ღირებულება შეადგენს 11,418,636 ლარს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის აღრიცხვის დოკუმენტაციის შემოწმებით გამოვლინდა, რომ 1,773,739 ლარის მარაგების არსებობა მერიამ ვერ დაადასტურა. კერძოდ, 1,166,005 ლარის აქტივები გახარჯულია წინა წლებში,¹² ხოლო 607,734 ლარის აქტივების შესახებ მერიას არ გააჩნია ინფორმაცია.¹³

აღსანიშნავია, რომ მერიის ბუღალტრულ ანგარიშგებზე აღრიცხული მარაგების,¹⁴ როგორც ჩამოსაწერი აქტივების შესახებ დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წელს ჩატარებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014-2015 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში, თუმცა ხარვეზი მიმდინარე პერიოდშიც არ არის გამოსწორებული.

შედეგად ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“ და ფორმა №5 „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) მატერიალური მარაგების მუხლი (1600 - მატერიალური მარაგები) გაზრდილია 1,773,739 ლარით, ასევე არასწორადაა წარმოდგენილი ფორმა №3 „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“.

1.2 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,¹⁵ პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები შედგენილი უნდა იქნეს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის მომენტში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ მისი დამთავრებისთანავე და აღრიცხვაში ასახვის მიზნით, ბუღალტერიას უნდა გადაეცეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 4.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 1.

¹² ტექნიკური მარილი, სხვადასხვა ტანსაცმელი და ჰიგიენის ნივთები, საკვები პროდუქტები და სხვ.

¹³ ელექტროსანათები, საბავშვო საქანელები, საწვავი.

¹⁴ ელექტროსანათები, საბავშვო საქანელები, ტექნიკური მარილი და საწვავი.

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 4.

თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, როდესაც მას ჰქონდა ადგილი.¹⁶

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების მუხლში აღირიცხება ის აქტივები, რომელთა მშენებლობა ან სხვა ფორმით შექმნა დაწყებულია და ჯერ არ დასრულებულა, ან ორგანიზაციას საკუთრების უფლება არ აქვს მოპოვებული.¹⁷

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ანგარიშზე (ანგარიში 2141) არსებული ნაშთი შეადგენს 104,327,088 ლარს, რომელიც მოიცავს როგორც დასრულებულ და ექსპლუატაციაში შესულ, ასევე ისეთ აქტივებს, რომლებზეც მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ინფორმაცია. კერძოდ, მერიის დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ანგარიშზე ირიცხება 41,218,902 ლარის აქტივი. აღნიშნული აქტივების შესწავლით გამოვლინდა, რომ 81 ობიექტი, საერთო ღირებულებით – 13,225,410 ლარი, დასრულებულია, თუმცა არ არის გადატანილი შესაბამის მუხლში. ასევე, გამოვლინდა, რომ აღნიშნულ მუხლში აღირიცხულია 219 ობიექტი, საერთო ღირებულებით – 4,360,819 ლარი, რომელთა იდენტიფიცირებას მუნიციპალიტეტი ვერ ახორციელებს.¹⁸

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დაუმთავრებელი მშენებლობის მუხლში ასევე აღირიცხულია 2009-2013 წლებში დასრულებული და ექსპლუატაციაში შესული სოციალურად დაუცველი პირებისათვის აშენებული ოთხი ერთეული საცხოვრებელი სახლი, საერთო ღირებულებით – 553,787 ლარი. აღნიშნულის შესახებ დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წელს ჩატარებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014-2015 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში, თუმცა ხარვეზი მიმდინარე პერიოდშიც არ არის გამოსწორებული.

შედეგად ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“ და ფორმა №5 „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) დაუმთავრებელი მშენებლობის მუხლი (ანგარიში 2141) არასწორადაა გაზრდილი შესაბამისი თანხით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ობიექტებს, რომლებიც დასრულებულია, თუმცა ბუღალტრულ ანგარიშებში ასახულია, როგორც დაუსრულებელი, არ ერიცხებათ კანონმდებლობით განსაზღვრული ცვეთის ხარჯი, რის გამოც ანგარიშგებაში (ფორმა №3 „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ფორმა №5 „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი (ანგარიში 7300) არ ასახავს რეალურ მონაცემს, რაც გავლენას ახდენს (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსში“ „წმინდა ღირებულების“) ნაშთის სისწორეზე.

1.3 არაწარმოებული აქტივების (მიწის ნაკვეთების) აღრიცხვა

არაწარმოებულ აქტივებს განეკუთვნება ბუნებრივად წარმოქმნილი ან სამართლებრივი თუ ბუღალტრული ოპერაციით შექმნილი აქტივები, რომელთა მიმართაც შესაძლებელია საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა.

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 1.

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 22, პუნქტი 3.

¹⁸ აქტივების ეს ნაწილი ბუღალტრულად აღირიცხულია წინა საანგარიშო პერიოდებშიც.

არაწარმოებული აქტივების სააღრიცხვო სისტემაში ასახვის შემდეგ ოპერაციები, რომლებიც მათი საკუთრების შეცვლასთან არის დაკავშირებული, აისახება ისევე, როგორც ძირითადი აქტივებით ოპერაციები.¹⁹

მუნიციპალიტეტს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ერიცხება 498,249,663 ლარის არაწარმოებული აქტივები (მიწა), მათ შორის აღნიშნულ მუხლში მერიას აღრიცხული აქვს 85 ერთეული მიწის ფართი, საერთო ღირებულებით – 48,769,817 ლარი, რომლის იდენტიფიცირება მერიის შესაბამისმა სამსახურებმა ვერ შეძლეს. ამდენად ვერ მივიღეთ რწმუნება ანგარიშზე რიცხული ნაშთის სისრულესა და სისწორეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“ და ფორმა №5 „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) არაწარმოებული აქტივების მუხლი (ანგარიში 2410) არ შეესაბამება ფაქტობრივ მონაცემებს.

1.4 მოკლევადიანი მოთხოვნები

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით,²⁰ ფინანსური მოთხოვნა არის აქტივი, რომელიც აძლევს უფლებას ერთ ინსტიტუციონალურ ერთეულს – აქტივის მფლობელს (ანუ კრედიტორს) მიიღოს ერთი ან რამდენიმე გადახდა მეორე ერთეულისაგან (დებიტორისგან) მათ შორის გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებისა და დებულებების თანახმად. ფინანსური მოთხოვნა წარმოადგენს აქტივს, ვინაიდან ის უზრუნველყოფს კრედიტორისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღებას და წარმოადგენს დაგროვების საშუალებას. ფინანსური მოთხოვნების ტიპურ მაგალითს წარმოადგენს ფულადი საშუალებები, დეპოზიტები, კრედიტები და სესხები, ობლიგაციები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და დებიტორული დავალიანებები.

სახელმწიფო ერთეულებისათვის საოპერაციო შემოსავლის ძირითადი წყაროებია გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები, ხოლო ორგანიზაციების მიერ საოპერაციო შემოსავლების აღრიცხვისათვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი.²¹

1.4.1 დებიტორული დავალიანების აღრიცხვა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სამშენებლო წესებისა და სხვადასხვა სამართალდარღვევისათვის საჯარიმო სანქციების დაკისრება ევალება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას.²² წარმოდგენილი ინფორმაციით, 2020 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სამშენებლო წესების დარღვევისა და სხვადასხვა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით გადაუხდელი საჯარიმო სანქცია შეადგენს 11,926,390 ლარს. მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 27, პუნქტები 1 და 4.

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია, მე-8 თავი.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 34, პუნქტი 3; მუხლი 35, პუნქტი 1.

²² ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულება, მუხლი 2.

შემოსავლების“ მუხლში, ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლები აღიარებული არ არის.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, შესაბამისი სამსახურების მიერ არ მიეწოდება ინფორმაცია დაკისრებული ჯარიმების შესახებ. სამსახურებს შორის არასათანადო კოორდინაციის გამო, დაკისრებული ჯარიმები დებიტორულ დავალიანებად არ აღიარდა. შემოსავლად აღირიცხება მხოლოდ გადახდილი საჯარიმო თანხები. თუმცა ამავე პირის განმარტებით, მერიის მიერ შემუშავებული ახალი შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქციის შესაბამისად, ბიუჯეტის შემოსულობები 2021 წლიდან აღირიცხება, როგორც საკასო, ასევე დარიცხვის მეთოდით.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლების“ მუხლი შემცირებულია 11,926,390 ლარით, ასევე აღნიშნული თანხით არის შემცირებული მიმდინარე პერიოდის შემოსავლებიც, რაც გავლენას ახდენს წმინდა ღირებულების სისწორეზე.

შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1 „ორგანიზაციის ბალანსი“; ფორმა №3 „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“.) მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებისა (ანგარიში 1354) და მიმდინარე პერიოდის შემოსავლების მუხლები (ანგარიში 6430) არასწორადაა წარმოდგენილი 11,926,390 ლარით.

1.4.2 შემოსავლების აღრიცხვა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში ქონებას განკარგავს სსიპ – „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო“.²³ ორგანიზაცია უზრუნველყოფს საიჯარო თანხის მიღების კონტროლს და ასევე თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, მოიჯარეებისათვის საჯარიმო სანქციების დაკისრებას.²⁴ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოდან არ მიეწოდება ინფორმაცია იჯარით გაცემული ქონებიდან მისაღები შემოსავლებზე. შესაბამისი ინფორმაციის უქონლობის გამო, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური შემოსავლებში აღრიცხავს მხოლოდ მოიჯარეების მიერ გადახდილ თანხებს, ხოლო გადაუხდელ ნაწილს შემოსავლებში არ აღიარებს. ასევე შემოსავლებში არ აღირიცხება მოიჯარეებზე დაკისრებული საჯარიმო სანქციები,²⁵ რაც აღრიცხვაში არსებულ კონტროლის სისუსტეებზე მიუთითებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მერიის ახალი შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქციის შესაბამისად, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლიდან ევალება საიჯარო ხელშეკრულებების რეესტრის წარმოდგენა შესაბამისი პერიოდის გადასახდელი საიჯარო თანხების მითითებით. შესაბამისად, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური დარიცხვის მეთოდით აღიარებს შემოსავალს და დებიტორულ დავალიანებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით არსებული საიჯარო დავალიანების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციით, 2021 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით

²³ საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 116.

²⁴ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულება, მუხლი 2.

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 30.

გადაუხდელი საიჯარო ქირა შეადგენს 2,623,223 ლარს. პასუხისმგებელი პირის ზეპირი განმარტებით, გადაუხდელი თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოშობილია, როგორც 2020 წელს, ისე გასული პერიოდებიდან. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე პერიოდის შემოსავლების მუხლში (ანგარიში 6430) აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.

შედეგად ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებულადაა წარმოდგენილი (ფორმა №1) მოკლევადიანი მოთხოვნების მუხლი (ანგარიში 1354) და (ფორმა №3) მიმდინარე პერიოდის შემოსავლები (ანგარიში 6400), რაც გავლენას ახდენს წმინდა ღირებულების სისწორეზე.

1.5 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია არის კონტროლის მექანიზმი, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა მუხლი რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა მუხლი სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა აღწერა სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი 89 კომპონენტიდან ინვენტარიზაცია ჩატარა 2019 წელს – 11-მა, ხოლო 2020 წელს – 66-მა ორგანიზაციამ.

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, თბილისის მუნიციპალიტეტის აქტივების ჯამური ღირებულება შეადგენს 2,909,870,239 ლარს, მათ შორის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წილი (67%) – 1,961,748,158 ლარს, ხოლო დანარჩენი 948,122,081 ლარის აქტივები გადანაწილებულია 88 ორგანიზაციაზე.

ვინაიდან ქ. თბილისის მერიის წილი მთლიან აქტივებში არის არსებითი, შესაბამისი რწმუნების მისაღებად თუ რამდენად სწორად ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების მუხლების ნაშთებს, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა მერიის მიერ 2019 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია და მიღებული შედეგების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მდგომარეობა. შედეგად გაირკვა, რომ გამოვლენილია:

- 1197 ნივთის დანაკლისი, თანხით 2,478,538 ლარი;

- დანაკლისი ბალანსგარეშე ანგარიშებიდან – 1787 ნივთი, ხოლო ზედმეტობა – 2668 ნივთი, რომელთა ღირებულება განსაზღვრული არ არის (არაა შეფასებული);
- ამორტიზებული და გამოუსადეგარი მოძრავი ქონება – 2516 დასახელების;
- არაიდენტიფიცირებადი – 1694 ნივთი.

მერიის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ინვენტარიზაციის შედეგების შესაბამისად მიღებულია დადგენილება²⁶ – გამოვლენილ მოძრავი ქონების დანაკლისებთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც დაიგეგმა სხვადასხვა ღონისძიების გატარება, მათ შორის აქტივების მოძიება.²⁷

პასუხისმგებელი პირის ზეპირი განმარტებით, მერიის მიერ ინვენტარიზაციით გამოვლენილი შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაში არ ასახულა.²⁸ აღსანიშნავია, რომ წინა წლებში ჩატარებული ინვენტარიზაციების შედეგები, არ არის ასახული ბუღალტრულ დოკუმენტაციაში და ფინანსურ ანგარიშგებაში. შედეგად აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერი რწმუნება, საბუღალტრო ანგარიშზე რიცხული ნაშთების სისწორეზე, რაც არასათანადო კონტროლის მექანიზმებით არის გამოწვეული.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტების მიერ, 2019-2020 წლებში ჩატარებული ინვენტარიზაციები არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს,²⁹ კერძოდ, პროცედურები არ შეხება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილს.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გაირკვა რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოთხოვნების მთლიანი თანხიდან³⁰ 59,393,926 ლარი წარმოშობილია 2020 წლამდე. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები (ა(ა)იპ და სსიპ-ები) არ ადგენენ ურთიერთშეძარების აქტებს და არ ტარდება სათანადო ღონისძიებები დავალიანებების რეალობის დასადგენად, რაც კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიანიშნებს. გამომდინარე აღნიშნულიდან, არსებობს რისკი, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია ლიკვიდირებული იყოს ან არ ფლობდეს ინფორმაციას გადასახდელი თანხის შესახებ.

²⁶ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა) მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის 2019 წლის 3 დეკემბრის №4 სხდომის ოქმით დამტკიცებული დადგენილება.

²⁷ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წლის 29 აპრილს 2654/18 წერილით მასალები გადაგზავნილია გენერალურ პროკურატურაში.

²⁸ შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული დანარჩენი კომპონენტების შემთხვევაშიც, რომლებმაც ასევე ჩაატარეს ინვენტარიზაცია.

²⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი მუხლი პირველი, პუნქტი 9.

³⁰ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2020 წელს მუნიციპალიტეტის დებიტორული დავალიანების ჯამური ნაშთი შეადგენს 1,156,672,337 ლარს, მათ შორის 1,070,545,915 ლარი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კაპიტალში შეტანილი თანხებია, ხოლო 86,126,442 ლარი არის სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირის დავალიანება მუნიციპალიტეტის მიმართ.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია **პირობითი** მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა გარემოებები

2.1 ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად,³¹ ვალდებულია, მის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წლიური და პერიოდული ბუღალტრული ანგარიშგებების საფუძველზე მოამზადოს ერთიანი მუნიციპალური (კონსოლიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგება და წარადგინოს დანიშნულებით.

აუდიტის პროცესში გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ, ფინანსურ ანგარიშგების კონსოლიდაციაში მონაწილე იურიდიულ პირებს არ აქვთ წარდგენილი მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოში პერიოდული (კვარტალური) ბუღალტრული ანგარიშგებები. შედეგად, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ არ არის შედგენილი მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) 2020 წლის პერიოდული ბუღალტრული ანგარიშგებები.

2.2 შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების აღრიცხვა

თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი შეადგენს 59,628,240 ლარს. აღსანიშნავია, რომ ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციაში მონაწილე 89 ორგანიზაციიდან 45-ის შრომის ანაზღაურების ხარჯები - 4,435,406 ლარი აღრიცხულია „სუბსიდიის“ მუხლში. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში ვერ იდენტიფიცირდება ხარჯების კონკრეტული დანიშნულების შესახებ ინფორმაცია და მომხმარებლისათვის გაურკვევლი რჩება აღნიშნული საბიუჯეტო სახსრების ეკონომიკური შინაარსი.

³¹ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“, პუნქტი 2¹ და 3⁴.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის **2008 წლის 16 აპრილის №364** და **2007 წლის 28 დეკემბრის №1321** ბრძანებებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- ვასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა მუნიციპალიტეტის ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მუნიციპალიტეტის ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს მუნიციპალიტეტისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები


ხელმოწერა

ბადრი ჯანჯღავა
მთავარი აუდიტორი

თათია ამბროლაძე
უფროსი აუდიტორი

ლალი ამბროლაძე
უფროსი აუდიტორი

ირმა ხეცურიანი
უფროსი აუდიტორი



ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

ფორმა №1. ბალანსი

კოდი	დასახელება	ანგარიშის №	ნაშთი წლის დასაწყისში	ნაშთი წლის ბოლოს
I.	ფინანსური აქტივები და მოთხოვნები			
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110	11,643	10,847
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211	16,092	48,259
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220	1,918,411	1,886,506
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230	14,821,691	10,863,980
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260	35	35
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280	38,779	38,840
150	მოკლევადიანი საბიუჯეტო სესხები	1321	552,686	552,686
200	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353	22,612	14,136
210	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	82,136	65,559
220	მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	514,966	497,034
230	მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით	1356	5,522	5,522
240	მოთხოვნები დამქირავებლის საპენსიო სქემაში შენატანით	1357	2,402	2,402
250	მოთხოვნები დაქირავებულების საპენსიო სქემაში შენატანით	1358	1,010	526
260	საშემოსავლო გადასახადი	1361	95,138	98,572
270	მოგების გადასახადი	1362	204,418	197,294
280	ქონების გადასახადი	1363	31,313	35,620
290	დამატებული ღირებულების გადასახადი	1364	238,880	220,073
320	სხვა გადასახადები	1367	128,000	124,060
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1370	8,767	-
350	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420	2,760	100
360	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	35,120,118	33,658,693
370	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	42,914,749	34,111,255
380	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	31,361	31,774
390	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით	1451	537	446
400	მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების ანგარიშვალდებულ პირზე გადაცემით	1452	319	349
420	ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	1454	830	830
330	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460	4,637	4,637
430	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	1461	851	476
440	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	1462	18,096	-
450	მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1463	2,979	1,104
460	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	3,795	3,795
470	მოთხოვნები მოკლევადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით	1481	12,744	17,704
480	მოთხოვნები გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გადაცემით	1482	35,958	35,958
490	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1483	14,715,810	14,715,657
500	გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები	1511	1,500,544	1,500,544
510	გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1512	216,153	216,153
520	აქციები და სხვა კაპიტალი	1520	1,072,300,895	1,070,545,915
540	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540	14,896	14,896

II. არაფინანსური აქტივები				
550	ნედლეული და მასალები	1621	2,760,302	2,657,608
570	მზა პროდუქცია	1623	12,727	12,157
580	შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	1624	671,999	657,809
590	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1627	5,655,623	8,091,062
610	საცხოვრებელი შენობები	2111	18,156,648	17,943,567
620	არასაცხოვრებელი შენობები	2112	135,838,532	147,871,651
630	სხვა ნაგებობები	2113	705,574,305	873,501,123
640	მიწის გაუმჯობესება	2114	60,488	60,488
650	სატრანსპორტო საშუალებები	2121	11,880,076	11,244,365
660	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებების გარდა	2122	50,879,862	59,117,725
670	კულტივირებული აქტივები - კულტივირებული ბიოლოგიური რესურსები	2131	1,421,574	1,578,241
680	ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები	2132	6,986,609	7,472,048
700	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	2141	116,452,470	104,327,088
710	საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142	579,990	847,583
730	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	6,081,194	6,294,312
750	ხელოვნების ნიმუშები	2320	107,971	421,041
770	მიწა	2410	499,341,163	498,249,663
790	სხვა ბუნებრივი აქტივები	2430	470	470
ბალანსი			2,748,054,536	
ვალდებულებები და კაპიტალი				
I. ვალდებულებები				
1010	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254	100	-
1020	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255	9	65
1040	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257	175	175
1070	ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3271	106,911	39,033
1110	მომუშავეთა ვალდებულება საპენსიო სქემაში შენატანით	3275	297	299
1130	წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები	3282	220,682	241,917
1170	სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	3286	139,248	225,288
1190	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3312	80,396,942	64,347,470
1200	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320	137,361	95,290
1210	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331	811	-
1220	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332	1,360,532	1,784,406
1230	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333	442	442
820	ვალდებულებები დეპოზიტებით	3110	1,897	135
870	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	2,005,662	1,583,313
880	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	3,536,682	5,638,032
900	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	65,979	61,023
910	გადასახდელი დღგ	3242	214,712	154,705
920	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243	726,629	726,852
930	სხვა გადასახდელები	3244	18,545	16,637
940	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით	3245	28,886	28,115
950	გადასახდელი ქონების გადასახადი	3246	98,992	88,568
980	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	166,174	155,712
990	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	3252	4,470	6,532

II. კაპიტალი				
1240	წმინდა ღირებულება	5100	2,622,994,946	2,803,943,152
1250	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210	-	-
1260	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	5220	35,827,451	30,733,078
	ბალანსი		2,748,054,536	
III. საცნობარო მუხლები				
1280	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	01	61,109,326	61,109,326
1290	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	16,423	17,023
1300	გადახდის უუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	-	-
1310	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	1,114,971	6,809,572
1320	პირობითი აქტივები	05	2,887	2,887
1330	პირობითი ვალდებულებები	06	-	-
1340	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	-	-
1350	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08	83,731,022	93,484,586
1360	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	856,274	856,274
1370	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	17,791,781	18,492,815
1380	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	-	-
1390	საბანკო გარანტიები	12	25,648,059	26,438,034
1400	ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანება	13	-	-

ბალანსის დანართი ფორმა №2. ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკ. წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტ. გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის
010	1. ხარჯები	2	710,264,670	834,121,429	835,842,889	825,195,805	825,205,158	906,338,083	81,132,924
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	67,237,805	63,846,339	61,827,871	59,682,241	59,682,241	59,683,625	1,384
030	1.1.1 ხელფასები	211	6,050,700	6,274,800	61,827,871	59,682,241	59,682,241	59,683,625	1,384
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	6,050,700	6,274,800	61,827,871	59,682,241	59,682,241	59,683,625	1,384
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	6,050,700	6,134,800	56,208,182	56,046,659	56,046,659	56,048,044	1,384
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112	0	0	0	0	0	0	0
070	1.1.1.1.3 ჯილდო/პრემია	21113	0	0	2,129,565	415,720	415,720	415,720	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114	0	140,000	3,490,123	3,219,862	3,219,862	3,219,862	0
090	1.1.1.1.5 პონორარი	21115	0	0	0	0	0	0	0
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116	0	0	0	0	0	0	0
110	1.1.1.2 ხელფასები	2112	0	0	0	0	0	0	0

სასაქონლო ფორმით									
120	2.1.2	212	0	0	0	0	0	0	0
სოციალური შენატანები									
130	2.1.2.1	2121	0	0	0	0	0	0	0
ფაქტური სოციალური შენატანები									
140	2.1.2.2	2122	0	0	0	0	0	0	0
დარიცხული სოციალური შენატანები									
150	1.2	22	149,692,660	133,155,906	129,126,734	123,138,366	123,138,366	127,132,633	3,994,268
საქონელი და მომსახურება									
160	1.2.1	221	3,879,685	3,892,400	21,468,488	20,638,679	20,638,679	20,638,910	231
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება									
170	1.2.2	222	150,000	9,000	116,762	74,313	74,313	86,412	12,099
მივლინება									
180	1.2.3	223	1,133,150	1,013,723	13,862,041	12,662,130	12,662,130	12,326,460	-335,670
ოფისის ხარჯები									
190	1.2.4	224	50,000	22,000	179,759	164,473	164,473	175,703	11,230
წარმომადგენლობითი ხარჯები									
200	1.2.5	225	0	0	1,192,293	1,184,154	1,184,154	1,148,247	-35,907
კვების ხარჯები									
210	1.2.6	226	0	1,162	640,326	586,773	586,773	532,661	-54,112
სამედიცინო ხარჯები									
220	1.2.7	227	0	0	193,320	193,086	193,086	175,635	-17,451
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები									
230	1.2.8	228	527,850	412,850	5,094,459	3,859,519	3,859,519	3,834,570	-24,950
ტრანსპორტი და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები									

240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია- წამლის შეძენის ხარჯები	229	0	0	0	0	0	29,780	29,780
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	526,615	472,065	86,379,286	83,775,239	83,775,239	88,184,257	4,409,018
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება*	23	0	0	0	0	0	73,678,424	73,678,424
270	1.4 პროცენტი	24	1,850,200	2,369,850	2,369,693	2,369,693	2,369,693	2,369,693	0
280	1.4.1 საგარეო ვალდებულე ბეზზე	241	0	0	0	0	0	0	0
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორე ზე	2411	0	0	0	0	0	0	0
300	1.4.1.2 მრავალმხრი ვ კრედიტორე ზე	2412	0	0	0	0	0	0	0
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაცი ებზე	2413	0	0	0	0	0	0	0
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულე ბეზზე	2414	0	0	0	0	0	0	0
330	1.4.2 საშინაო ერთეულებზე ე გარდა სახელმწიფო ერთეულები სა	242	0	0	0	0	0	0	0
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულები დან აღებულ საშინაო ვალდებულე ბეზზე	243	0	0	2,369,693	2,369,693	2,369,693	2,369,693	0
350	1.5 სუბსიდიები	25	191,270,575	292,291,873	290,649,904	290,416,735	290,416,735	290,470,005	53,270
360	1.5.1 სახელმწიფო საწარმოებს	251	0	0	155,575,967	155,575,967	155,575,967	155,575,967	0
370	1.5.2 კერძო საწარმოებს	252	0	0	2,117,313	2,085,662	2,085,662	2,109,572	23,910

380	1.5.3 სუბსიდიები - სხვა სექტორებს	253	0	0	132,759,949	132,558,857	132,558,857	132,588,217	29,360
390	1.6 გრანტები	26	449,450	1,014,733	999,989	986,295	986,295	4,820,390	3,834,094
400	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფო თა მთავრობებს	261	0	0	0	0	0	0	0
410	1.6.1.1 მიმდინარე - გრანტები უცხო სახელმწიფო თა მთავრობებს	2611	0	0	0	0	0	0	0
420	1.6.1.2 კაპიტალურ ი - გრანტები უცხო სახელმწიფო თა მთავრობებს	2612	0	0	0	0	0	0	0
430	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაცი ებს	262	94,450	117,747	115,868	105,314	105,314	105,048	-266
440	1.6.2.1 მიმდინარე - გრანტები საერთაშორისო ორგანიზაცი ებს	2621	94,450	117,747	115,868	105,314	105,314	105,048	-266
450	1.6.2.2 კაპიტალურ ი - გრანტები საერთაშორისო ორგანიზაცი ებს	2622	0	0	0	0	0	0	0
460	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	355,000	896,986	884,121	880,981	880,981	4,715,342	3,834,361
470	1.6.3.1 მიმდინარე	2631	355,000	896,986	884,121	880,981	880,981	1,193,704	312,722
480	1.6.3.2 კაპიტალურ ი	2632	0	0	0	0	0	3,521,638	3,521,638
490	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	150,273,850	145,925,620	144,446,556	143,110,787	143,110,787	144,226,960	1,116,173

500	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271	0	0	0	0	0	0	0
510	1.7.1.1 სოციალური დაზღვევა - ფულადი ფორმით	2711	0	0	0	0	0	0	0
520	1.7.1.2. სოციალური დაზღვევა - სასაქონლო ფორმით	2712	0	0	0	0	0	0	0
530	1.7.2 სოციალური დახმარება	272	0	0	143334541	142175424	142175424	143291541	1116117
540	1.7.2.1 სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით	2721	0	0	143,334,541	142,175,424	142,175,424	143,291,541	1,116,117
550	1.7.2.2. სოციალური დახმარება - სასაქონლო ფორმით	2722	0	0	0	0	0	0	0
560	1.7.3 დამქირავებ ლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	150,000	136,000	1,112,015	935,363	935,363	935,419	56
570	1.7.3.1 დამქირავებ ლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით	2731	150,000	136,000	1,112,015	935,363	935,363	935,419	56
580	1.7.3.2. დამქირავებ ლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება - სასაქონლო ფორმით	2732	0	0	0	0	0	0	0
590	1.8 სხვა ხარჯები	28	149,490,130	195,517,107	206,422,142	205,491,688	205,501,041	203,956,352	-1,544,689
600	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებ ული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281	0	0	0	0	0	0	0
610	1.8.2 ტრანსფერი,	282	149,490,130	195,517,107	206,422,142	205,491,688	205,501,041	203,956,352	-1,544,689

	რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირ ებული								
620	1.8.2.1 მიმდინარე ტრანსფერი, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირ ებული	2821	39,865,030	41,490,596	41,212,842	40,927,948	40,937,301	40,867,080	-70,222
630	1.8.2.2 კაპიტალურ ო ტრანსფერი, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირ ებული	2822	109,625,100	154,026,511	165,209,300	164,563,739	164,563,739	163,089,272	-1,474,467
640	2.8.3 დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) და სტანდარტუ ლი გარანტიის სქემით გადასახდელ ი პრემიები, გადახდები და მოთხოვნები	283	0	0	0	0	0	0	0

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		ბიუჯეტგარეშე	
	გეგმით	ფაქტიური	გეგმით	ფაქტიური
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	1422	1253	37	37
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	1028	962	34	28

ბალანსის დანართი ფორმა №2-1. ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებუ ლი წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულ ი გეგმით	ვალდებუ ლება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
010	1. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	276,411,510	258,149,456	254,458,503	239,300,800	239,300,800
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	100,000	191,100	253,792,507	238,634,804	238,634,804
030	1.1.1 შენობა ნაგებობები	3111	0	0	231,807,586	218,396,435	218,396,435

040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111	0	0	205,988	205,988	205,988
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	0	0	24,898,690	21,532,407	21,532,407
060	1.1.1.3 სხვა ნაგებობები	31113	0	0	206,702,908	196,658,040	196,658,040
070	1.1.1.3.1 საგზაო მაგისტრალები	311131	0	0	0	0	0
080	1.1.1.3.2 ქუჩები	311132	0	0	18,827,532	18,321,179	18,321,179
090	1.1.1.3.3 გზები	311133	0	0	41,029,045	40,785,751	40,785,751
100	1.1.1.3.4 ხიდები	311134	0	0	871,523	871,523	871,523
110	1.1.1.3.5 გვირაბები	311135	0	0	1,016,229	1,016,229	1,016,229
120	1.1.1.3.6 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	311136	0	0	19,858,925	14,671,378	14,671,378
130	1.1.1.3.7 ელექტროგადამცემი ხაზები	311137	0	0	272,422	266,245	266,245
140	1.1.1.3.8 მილსადენები	311138	0	0	0	0	0
150	1.1.1.3.9 სხვა ნაგებობები რომელიც არ არის კლასიფიცირებული	311139	0	0	124,827,231	120,725,734	120,725,734
160	1.1.1.4 მიწის გაუმჯობესება	31114	0	0	0	0	0
170	1.1.2 მანქანა დანადგარები და ინვენტარი	3112	100,000	175,600	19,736,638	18,599,394	18,599,394
180	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	0	168,786	1,025,080	1,024,710	1,024,710
190	1.1.2.2 სხვა მანქანა- დანადგარები და ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებების გარდა	31122	100,000	6,814	18,711,559	17,574,684	17,574,684
200	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	0	15,500	2,248,283	1,638,975	1,638,975
210	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები - კულტივირებული ბიოლოგიური რესურსები	31131	0	0	166,550	166,550	166,550
220	1.1.3.1.1 ცხოველური რესურსები	311311	0	0	111,550	111,550	111,550
230	1.1.3.1.2 მცენარეები, ხეები და ნარგავები	311312	0	0	55,000	55,000	55,000
240	1.1.3.2 ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები	31132	0	15,500	2,081,733	1,472,425	1,472,425
250	1.1.3.2.1 მეცნიერული კვლევები და განვითარება	311321	0	15,500	15,500	15,500	15,500
260	1.1.3.2.2 წიაღისეულის მოპოვება და შეფასებები	311322	0	0	0	0	0
270	1.1.3.2.3 კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა ბაზები	311323	0	0	1,408,800	1,078,799	1,078,799
280	1.1.3.2.4 გასართობი, ლიტერატურული და მხატვრული ორიგინალი ნიმუშები	311324	0	0	0	0	0
290	1.1.3.2.5 სხვა ინტელექტუალური და საკუთრების პროდუქტები	311325	0	0	657,433	378,126	378,126

295	1.1.3.3 არაწარმოებული აქტივების საკუთრების უფლების გადაცემის ხარჯები (მიწის გარდა)	31133	0	0	0	0	0
300	1.1.4 სამხედრო იარაღის სისტემები	3114	0	0	0	0	0
310	1.2 მატერიალური მარაგები	312	0	0	0	0	0
320	1.2.1 ნედლეული და მასალები	3121	0	0	0	0	0
330	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	3122	0	0	0	0	0
340	1.2.3 მზა პროდუქცია	3123	0	0	0	0	0
350	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	3124	0	0	0	0	0
360	1.2.5 სამხედრო მარაგები	3125	0	0	0	0	0
370	1.3 ფასეულობები	313	0	0	195,226	195,226	195,226
380	1.4 არაწარმოებული აქტივები	314	0	0	470,770	470,770	470,770
390	1.4.1 მიწა	3141	0	0	0	0	0
400	1.4.2 წიაღისეული	3142	0	0	0	0	0
410	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143	0	0	0	0	0
420	1.4.3.1 არაკულტივირებული ბიოლოგიური რესურსები	31431	0	0	0	0	0
430	1.4.3.2 წყლის რესურსები	31432	0	0	0	0	0
440	1.4.3.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	31433	0	0	0	0	0
